ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3802202

ნომერი: AR1571768

თარიღი : 24.01.2018

გაცემის თარიღი : 14.02.2018

გაცნობის თარიღი : 14.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გასასვლელი ექიმის , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:
- შპს "ბანი ლუქსი" კოდი: 406054852

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 იანვარს №AR1571768 განცხადებით მომართა დავით მახარაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ: 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებით შეთანხმებული I სართულის (0.00 , -0.67 -0.90 და +2.05 +2.55 +2.46 ნიშნულები) გეგმების ჩანაცვლება 2018 წლის 24 იანვრის №AR1571768 განცხადებით წარმოდგენილი I სართულის (0.00 , -0.67 -0.90 და +2.05 +2.55 +2.46 ნიშნულები) გეგმებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, ექიმის გასასვლელი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.17.12.023.035), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 26 ოქტომბრიდან 2018 წლის 26 მარტის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ: 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებით შეთანხმებული I სართულის (0.00 , -0.67 -0.90 და +2.05 +2.55 +2.46 ნიშნულები) გეგმების ჩანაცვლებას 2018 წლის 24 იანვრის №AR1571768 განცხადებით წარმოდგენილი I სართულის (0.00 , -0.67 -0.90 და +2.05 +2.55 +2.46 ნიშნულები) გეგმებით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ შეცვლილია გეგმები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას.

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად განაცხადი შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შესაბამისი ნომენკლატურით, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას PDF ფაილის სახით. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ოქტომბრის №3636291 ბრძანებაში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7)) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.